ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №1093

25 იანვარი 2017 წელი

ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტის ნუსხის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის „ა“ ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669-ე დადგენილების მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 12 ივლისის №1145 ბრძანებით განსაზღვრული, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქონების სააუქციონოდ მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2016 წლის 28 დეკემბრის №13350-02 რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა დანართი №1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი რუსთავი, ბოსტან ქალაქის ქუჩა №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით მაღლაკელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი N1

№	საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება/ დანიშნულება	საკადასტრო კოდი	ფართობი	მისამართი	ფუნქციური ზონები
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობებით: N1, N2, N3.	**02.07.04.001**	**8 082 კვ/მ**	ქალაქი რუსთავი , ქუჩა გაგარინის N8	**ს-1; სსზ-4**